



№ 7

16 თებერვალი 1914 წ.

შილდება ხელის მოზრა

წლიური ფასი

= 3 მან. =

შოგელ კვირეული საზოგადო-ეკონო

ცალკე ნომერი 5 ქაპ.

შილდები და სალიტერატურო შურალი

რედაქცია ლია 9—3 საათ.

ზელიჯაღი მესახე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის მეტერი „კლდე“. დექემბერი: თბილისი კლდე.

1. ფერების და კონსტრუქციების კონკრეტული გრადიუსი. — 2. სიმებ-ქართველთა კუთხიერთობა. — 3. მიწის სკაიონი. — 4. მდინარე. (მთას, გოუდე-მთაშისნის) თარგმანი — დ. ლეუავა-ს 5 რჩხ მ 3 0: სი. და ი. გრიშაშვილისა. 5. პრეს. — ეკალისა. 6. პოლიტექნიკური და სილო-დაკი. — თრითონისა. 7. უანასკნელი ამბავი. 8. კიდევ ცოტა რამ ქართველ მეცნიერება ტერმინოლოგიაზე. — ე. ალშიბაიასი.

შილდება ხელის მოწერა 1914 წ.

შოგელ კვირეულ საზოგადო-ეკონომიკურ

და სალიტერატურო შურალ

„კლდე“-ქედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	2 წლით.	2 მან.
	3 წლით.	1 მან.

ცალკე ნომერი უცელებან 5 ქაპ.

ფედერალიზმი

ნათქვამია, ვაზი რომ დაავადმყოფდება ყველაზედ დიდ მოსახლეობა მაშინ იძლევაო. ასევე ემართებათ ფედერალისტებს. ისინი სრულტემით ანგარიშს არ უწევენ იმ კრიზისს, რომელშიაც იმყოფება ჰთელი მათი პარტია და დიდის ზემით აცხადებენ: „წმინდა და მტკიცე ის დროშა, რომელიც ჩვენ ხელში ავიღეთ და რომელიც მხოლოდ ერთი გაუძლევება ქართველ ხალხს აღმოჩნდებისა და განახლებისაკენ.“ ჩვენ ვექვეობთ რომ ამ სიტყვებმა კვლავ ჩატბერონ სული დაავადმყოფებულ ორგანიზმს ამ პარტიისას. ეს ავადმყოფიბა უფრო ძირითადია, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰყონიათ; იგი უბრალო ან დროებითი მოვლენა არ არის. ფედერალისტებს უხაროდათ, როცა უკანასკნელ არჩევნებში მათმა კანლიდატმა გაიმარჯვა. მაგრამ ასეთი გამარჯვება პარტიის სიძლიერის მაჩვენებელი არ არის, როგორც პარტიის უძლეურობის მაჩვენებელი არ იქმნება ის გარემოება, თუ იგივე დებუტატი მართლა შეუფერებელი გამოდგა მათთვის. თავიანთ სიხარულში ფედერალისტებს დაავიწყდათ, რომ ქუთაისის არჩევნებში მათ მხარს თავად აზნაურობა უჭირდა. სწორედ ისე, როგორც თბილისში თავად-აზნაურობის კანლიდატს ფედერალისტები უჭირდნენ მხარს. აგრედვე, როცა პარტიიდან ზომიერ ელემენტის გასვლაზე ღაპარაკობენ, მათ ავიწყდებათ ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება: ვიღა დარჩება პარტიაში? სოციალ-ფედერალისტურ პარტიის განწმენდა მის გაუქმდებას ნიშნავს, რადგანაც არსებოთად იგი ზომიერი პარტიაა. პროგრამა? იკითხავთ თქვენ, იმათი პროგრამა რომ სოციალისტურია, უკიდურესი? დიახ, მაგრამ მარტო პროგრამა! სხვა დანარჩენში ისინი ზომიერები არიან. მათ პროგრამას სული არა აქვს, არა აქვს დამრაშველი და გამწყვბი სული, რომელიც ზრდის, ანგოთარებს და აყალიბებს პარტიულ პიროვნებას. მათ ფილოსოფიაც კი არა აქვთ. მათ არა აქვთ დაახლოებით თუ გინდ ისეთი რამეც, რაც სოციალ-დემოკრატებისთვის მეცნიერული სოციალიზმია, ან რეს რევოლუციონერებისთვის - თეორია პიროვნებისა, ამიტომ როგორც ხალხი აზრისა, ფილოსოფიისა ისინი „უნაფერებენი“ არიან. ისინი მუდამ სხვებისგან სესხულობენ ამ აზრს. სწორედ ამით აისხება, რომ მათ ფილოსოფიურ შემცენებაში ყველა თეორიას ჰქონდა ადგილი, პროგრამაში კი სინდიკალიზმს, სოციალი-

ზაციას და ფედერალიზეს. არჩილ ჯორჯაძე შემცნელი პარტიისა უფრო მოაზროვნე იყო, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე. მასში ქეშმარიტების სული იბრძოდა და ამ ქეშმარიტებას შორს მიჰყავდა იგი. იყო რა შეუდრეველი მომხრე ეროვნებათა თავისუფლებისა და გამსტევლული ამ მარტივი ქეშმარიტებით, მისთვის არა მარტივსა და დიდს საბუთებს ეძებდა და მან ეს საბუთი სოციალიზმი ნახა. ეროვნული თავისუფლება მისთვის ვარსკვლავი იყო, სოციალიზმი მზე, მაგრამ მისი შეცდომა ის იყო, რომ მზის შექმნედ სურდა ვარსკვლავის დანახვა. და მას დაემართა ის, რაც უნდა დამართდა ყველას: მზის ღროს ვარსკვლავს ვეღარ ხედავდა და ვარსკვლავის ღროს მზესა. მის მსოფლმხედველობას ნაციონალიზმი და სოციალიზმი შეადგენდა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ და რომ ერთმანეთში როგორმე მოეთავსებინა, შეჭმნა რა-დაც მესამე—ფედერალიზმი.

შესაძლებელია განა პარტიას, რომელიც ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლას აპირობდა, სარჩულად პოლიტიკური ფედერალიზმი დასდებოდა? ჩვენ ვთქვათ რომ არა. ფედერალიზმით არჩილ ჯორჯაძემ მხოლოდ თავისი ძიება დაგვირგვინა, მან ავანსი გაიღო მომავლისთვის და ამით დროებით გადაანარჩუნა თავისი ოეორია დალუპას, მაგრამ მას არ უფიქრნა იმაზედ, რომ ასეთი რამ თავისთვის მხოლოდ ითხოვთ-ია. რა არის ფედერალიზმი არსებითად? თავი დავანებოთ ყველა იმას რის თქმაც შეიძლება ამაზედ. ვთქვათ მხოლოდ ის, რაც უფრო ახასიათებს მას. ფედერაცია კავშირია თანასწორ უფლებინ ერთა, ორგანიზაციათა, ერთეულთა. მას სხვა შინაარსი არა აქვს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მოკლებული შინაარსს, იგი არც ფორმაზა მართვა-გამგეობისა, სახელმწიფოსი, კონსტიტუციისა, იგი მხოლოდ კომბინაციაა. და განა შესაძლებელია პარტიულ პროგრამას, ან, რაც უფრო უკეთესია, ეროვნულ პროგრამას სარჩულად კომბინაცია დაედოს? ფედერალისტების პროგრამას კი სწორედ მარტო კომბინაცია უდევს სარჩულად.

ფედერალისტების პროგრამაში ფედერალიზმი არ არის შინერეული რამ მოთხოვნილება. იგი ისე თივე მინიმუმია პროგრამისა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც შეიძლება ბურჯუაზიულ და სახელმწიფო პირობებშიაც განხორციელდეს. ფედერატიული კავშირი რუსეთში მოსახლე ერგიბისა ი მიზანის აზოგადოთ რუსულის ფედერალიზმისა. მაგრამ ეს უკანასკნელი დიდ ეჭვებს ჰპა-

დებს. გვვინია, რომ რუსეთში ფედერალისტები არ არიან და ეს არც გასაკირველია. რუსეთში ერები ისეთ პოლიტიკურ პირობებში სცხოვრობენ, რომ ფსიხოლოგიურად წარმოუდგენელია, რომ მათ ერთსა და იმავე დროს რუსულ მონაბიძან განთავისუფლების სურვილიც ჰქონდეთ და კვლავ შეკავშირებისაც. ბოლოს არც ის არის გამოკვლეული, რამდენად იქნება სასარგებლო ამა თუ იმ ერისთვის ეს კავშირი. მაგალითად რუსეთის კავშირი საქართველოსთან ფედერაცია კი არა mesalliance იქნება, იგრძევე საქართველოს კავშირი რუსეთთან არაეთმართველობის პოლიტიკურ სარგებლიანობაზედ არ იქნება დამყარებული, რადგანაც, განა, რა ხელსაყრელია პატარა საქართველოსთვის დიდი რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკაში ჩაბმა. ევროპის პატარა სახელმწიფოთა ცხოვრება გვიმტკიცებს. როგორ შორსა სდგანან ისინი დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკისაგან.

რამდენადაც საცხა ფედერალისტების პროგრამა მდგარ კომბინაციებით მომავლის შესახებ, იმდენად ნაკლებ წარმოდგენას იძლევა იგი თვით ავტონომიის შესახებ. მათი ავტონომია არ არის თვით არსი რამ, იგი მოკლებულია ყოველსავე საშუალებას სახელმწიფოებრივ განვითარებისას, რადგანაც წინ მას ფედერაცია უდგინა და არსად არ უშვებს. მარიგად იგი ქართველ ერის სრულ პოლიტიკურ იდეალს არ გამოხატავს და უგარისონბა პროგრამისა, რომელზედაც ამას წინად ესწერდით. სწორედ აქ არის.

ა—ი.



სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

საკითხი სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა ისეთივე ძველია, როგორც თვით ისტორია ამ ორი ერისა და, ჯერ იცის, ეგებ იმ დროშიაც ჰქონდეს ფევები, როდესაც მათი წინაპრები ევფრატის და ტიგრისის მიდამოებში და არარატის მთაგრეხილებში მომთაბარობდნენ. ისტორიულმა ბედმა თუ უბედლობამ ეს ორი ერი უძველეს დროიდანვე მეზობლად დააბანაკა და მათი ინტერესები ერთმანეთში გადახლართა. იქ, სადღაც საუკუნეთა წიაღში, როდესაც ეგვიპტეს დამარცხების შემდეგ, საკაცობრიო

ასპარეზზე ძლევამოსილმა ასურეთში შემოდგა ფეხი, მის გამკვლევებს მხოლოდ ის ძლიერი და მრავალრიცხვანი ერი თუ იქისრებდა, რომელსაც ეჭირა ფართო ტერიტორია ორ მდინარეთა მიღამებში და რომელიც შესდგებოდა ერთი ტომის ხალხთაგან: ქალდეველთა, ხეთელთა, ალაროდიელთა, თუბალთა და სხვა და სხვათაგან, რომელთაც მეცნიერება ქართველთა უძველეს წინაპრებადა სოვლის. უკვე მოღლილი იყო ეს ერი ძლიერ მეზობლებთან მომდებობით, ველარ გაუძლო ამ ახალ ძალასაც და ძველ ქვეყანაში, ძველი კულტურის ჰეგემონია ასურეთს დაუთმო. ამ დაღლილობის დროს მოაწვა მეორე მხრით კიდევ, ასე მეზუიდე საუკუნეში ქრისტეს წინად, ფრიგიიდან გაღმოსული ახალი ხალხი, სომხები, და სწორედ ის ადგილები დაიჭირა, რომელიც იმ ერს ეჭირა. დაირღვა ქართველ წინაპართა მთლიანობა და ახალი აღგილების საძებრად დაიძრა. ორი გზით შემოვიდა ქართველობა მის უკანასკნელ სამშობლოში და ეს ორ ზღვათა შუა მდებარე პატარა ქვეყანა დაიჭირა და აღიარა იგი, ვინ იცის, უკანასკნელ სამშობლოდ, მაგრამ სომხებსაც აწვებოდნენ სხვა ხალხი, ისინიც აიძულეს გამოევლოთ თითქმის ის გზები, რომელზედაც მის წინ ქართველობა მიღორდა და მათი სამშობლოს უკანასკნელ განაღლებების შემდეგ ხომ შეუჩერებლივ ისინიც აქ იხიზნებიან. ბევრჯერ ეხსომება ქართველობას სომხის ერი მტრის ბანკში, მაგრამ მიმხდომი კი ქართველი არასოდეს არა ყოფილა.

იქ, ისტორიის სიღრმეში, იმ ეპოქაში, რომლის შესახებაც უფრო თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერი მთლიანი ერთეული იყო, ეროვნული ტერიტორება არ იყო იმდენად განვითარებული, რომ დაყოფილიყო იგი ჯგუფებად, წოდებებად, კლასებად... რა თქმა უნდა ეს დაყოფვა მაშინაც. არსებობდა, მაგრამ ბრძოლა არ იყო მათ შუა, რადგანაც ამისთვის, საჭირო იყო შეგნება ამ დაყოფისა (იხ. ამის შესახებ შევენიერი გვერდი ოტიო ბაუერის „ნაციო. ვიტოს და კო. - დემოკრ.“ გვ. 181—182.) იგი ერთი ოჯახი იყო და ერთ გულად იცავდა მის კერას, ერთნაირი ინტერესები ჰქონდა და ერთი მტერი ჰყავდა. ასეთი შემადგრელობისა იყო ეს ორი ერი და, თუ ისინი ერთმანეთს დაეჯახებოდნენ, ერთმანეთს დაეჯახებოდა სწორედ „ორი ერი“, როგორც ასეთი, რამდენადაც შეიძლება მაშინდელ ტომებს ერი უწოდოთ.

მაგრამ ასე თუ ისე, იმ დროინდელ ეპოქაშე თუ ითქმის ესა, თანამედროვე ეპოქაში საქმე როცხლდება, რაღანაც თვით მცნება ხალხი, ერთ, ეროვნება შეიცვალა. ერთ იმგვარადვე ერთს მოცელს სხეულს არ წარმოადგენს, რაღანაც თვით მის ფარგლებში არსებობს ინტერესთა სხვა და სხვაობა, მრავალი სხვა და სხვა ჯგუფი ებრძვის ერთმანეთს და ეცილება პირველობას.

მაშინ, როდესაც ისახებოდა და თანდათან ძლიერდებოდა ფეოდალიზმი-პატრონ-ყმობა და შემდეგში კი ბატონ-ყმური ურთიერთობა, სომხეთი უკვე აღარ არსებობდა, სომხის ურმა უკვე დაკარგა სამშობლო მიწა-წყალი და გაბოგანოვდა. ცხოვრება რამდენჯერმე გაძმობრუნდა, რამდენჯერმე შეიცვალა საზოგადოებრივი სტრუქტურა, ერანაცურალური წარმოებისა სხვა და სხვა ქვეყანაში, სხვა და სხვა დროს გამოსცვალა კაპიტალისტურმა წესწყობილებამ და ფეოდალის ადგილი ბურჟუამ დაიკირა. თუ უწინ მიწა შეადგენდა სიმდიდრისა და ცხოვრების წყაროს, ახლა მმოძრავი კაპიტალი გამოვიდა ასპარეზზე. ცხოვრების ბატონი ახლა ის ჯგუფი, ის კლასი შეიქმნა, ვის ხელშიაც ეს კაპიტალი იყო. სომხის ერმა, რაღანაც მოკლებული იყო თავის საკუთარ მიწა-წყალს, როგორც ებრაელებმა, ვერ შექმნა, ვერ შეადგინა ფეოდალობა და აქა-იქ ებრაელებივით გაფანტული სომხის ერი იძულებული გახდა აღებ-მიცემობისათვის მიეყო ხელი. სომხის ერი, სომხის ერის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ნიადაგზე გამოცხადდა, მცგომარეობამ აიძულა ეკონომიკურ ურთიერთობაში შუამავალის როლი ეკისრა, რაღანაც ეს როლი ვისმე ხომ უნდა ჰქონდა, რაღანაც ეს ელემენტი დროის მოთხოვნილება იყო და სხვას კი ამისთვის არავის ეცალა (ერეკლე მეფემ მაგალითად, თითონ გადმოასახლა თბილისში მრავალი სომხობა, რომ ვაჭრობისათვის ხელი მიეყოთ) ქართველებს ჰქონდათ თავისი სახელმწიფო, თავისი მიწა-წყალი; ერთი წოდება სახელმწიფოს გამაგრებას უნდებოდა, მეორე კიდევ მიწას დასტეროდა და მთელს ერს თავისი შრომით ჰკებავდა. მეჩვიდმეტე, მეორამეტე საუკუნოებში სომხობა საქართველოში ძლიერ ცოტა იყო და არც სიმდიდრე ჰქონდა ჯერ კიდევ შეძენილი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ბოლო ეღებოდა, როდესაც ფეოდალიზმს ეკონომიკური ნიადაგიც გამოცალა და უსაქმოდ დარჩა მთელი წოდება,

ცხოვრება კი უკვე გარკვეულად შესდგა კაპიტალისტურ ნიადაგზე, აი მაშინ ამ უცხო ერის ელემენტს, რომელმაც უკვე მევაბშეობით შეაგროვა ცოტაოდენი თანხა, მიეცა თავისი განსაკუთრებული დანიშნულება. სომხის ერმა იკისრა საქართველოში ამ მესამე წოდების როლი. სომხის ერმა იმიტომ ვამბობთ, რომ როდესაც სომხეთი დაეცა და ერთ მთელს ქვეყანაზე გაიფარტა, მაშინ ერთ არ იყო აგრე რიგად განთვითებული; ეს უბედურება მარტო ერთს რომელიმე წოდებას, ან კლასს კი არ დაატყდა, არამედ სამშობლოს განადგურება ერთნაირის ვაებით მოედო მთელს ერს. სომხის ერის ერთი ნაწილი (განურსხევლად წოდებისა, კლასებისა) თანდათან შემოიხიზა საქართველოში, ჩვენი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაისვენა, და გულუხვმა საქართველომაც თავისი მოწყალების კალთა გადააბერტყა.

საქართველოში შემოქრილმა სომხობამ არ ინდომა, და არც შეეძლო, ამ ორ განაკში (მიწის მფლობელთა და მიწის მოქმედთა) შესვლა და, რაღანაც ნიადაგი მზად იყო ვაჭრობისათვის, ამას მოჰკიდა ხელი. ეს თითქმის საზოგადოებრივი კანონია, რომ აღრე თუ გვიან, ეს მესამე ელემენტიც უნდა გამოიყოს ერში, მაგრამ აქ ახლი ის იყო, რომ ეს ელემენტი უცხო ერმა მოგვცა. რა თქმა უნდა, რომელიმე წოდების კეთილდღეობა და სიმდიდრე ვერაფერი სანუგეშოა მთელი ეროვნებისათვის, მაგრამ ეროვნული ბურჟუაზია, ეროვნული კაპიტალი, ეროვნული მრეწველობა, ასე თუ ისე, აფართოებს საერთო კეთილდღეობის მასტრაბს; მაგრამ როდესაც ეს ძლიერი ნაწილი ერის ეროვნულ სეულზე სახელობს და თითონ კი თავის მხრით არაფერს სამაგიეროს არ აძლევს, მაშინ იგი ერისათვის დიდად მარნებელია, რაღანაც ნაყოფიერ ეროვნულ ნიადაგს გამოჰყიტავს და სისხლიდან დასცლის. სომხის ერის ის ნაწილი, რომელიც შემოითხეს საქართველოს ნიადაგზე, არა ბუნებრივად, არამედ ისტო-რიული პეტრუბრძაციის წყალობით, უნებურად და მოულოდნელად, უეპველია, ვერ გახდებოდა საქართველოს შემადგენელ ნაწილად, მისთვის სასარგებლო და აუცილებელ ელემენტად. საქართველოში გადმოცვინული სომხობა ვერ იზრუნებდა მისთვის, რაღანაც ეს მისი არ იყო. იგი ან უნდა გათვეფილიყო ქართველობაში, ან უნდა ექცნა ახალი სამშობლო. პირველი არ მოხდა, რაღანაც სომხის ერი უნდა ვიზიქროთ საქამოდ კულტურული იყო, რომ თავისი ეროვნული სახე შეენარჩუნებინა, მა-

შასაღამე იმ თავიდანვე დაუპირდაპირდა სომეხთა ინტერესები ქართველთა ინტერესებს, რაღაც აც რა აც ისინი შეიძენდნენ, მიწას თუ სხვა სიმღიდრეს, როგორც სომეხნი, უნდა გამოსულოდა ქართველებს. ერთის შემატება — მეორესი დაკლება იყო, ერთის გამდიდრება — მეორეს გალატაკებას მოასწავებდა. ამ ნიაღაგზე ერთმანეთს დაუპირდაპირდა ეს ორი ელემენტი და სომებს აუცილებლად უხდებოდა და უხდება ორგვრი ბრძოლა: იფი იბრძის, როგორც ბურუუაზია საერთოდ და ამავე დროს, როგორც უცხო ერის წარმომადგენელი, უცხო ერის ბანაკში. ამიტომ ქართველობას უხდება ბრძოლა სომხებთან როგორც უცხო ელემენტთან, საკუთარ ტერიტორიაზე.

ქართული ფეოდალობა ინგრეოდა, ქართველი ფეოდალი, გულგრილად ელევდა თავის მამა-პაპეულ სიმღიდრეს, იფი იმ ელემენტის ხელში გადალიოდა, რომელსაც მმოძრავი კაპიტალი ჰქონდა და ასეთი ხომ სომხები იყვნენ. ამ ორ წოდების შორის სრულიადაც არ აჩსებობდა წინააღმდეგობა, პირიქით, ქართველი მემამულე მოწადინებული იყო მიწა, რომელიც მეტ ბარგად მიაჩნდა — გაეყიდა, სომხობა კი ყიდულობდა და აქ ხელი ხელს შპანდა. მეორე მხრით კი ეს მიწა ესაჭიროებოდა ქართველ მიწის მუშას, ქართველ გლეხს და მას კი ხელიან ეცლებოდა, ასე რომ აქაც ქართველი გლეხობა, ქართველი დემოკრატია იდგა სომხის ბურუუაზის წინააღმდეგ.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ მოსაზრებას, რომ თავდაპირველად საქართველოს ტერიტორიაზე შემოხინული სომხობა არ იყო სოკიალურად დანაწილებული სხვა და სხვა ჯგუფებად, წოდებებად, კლასებად, რაღაც მთელი სომხობა ერთ ტავაზე იწოდა, ერთი უხდებურება ეუფლებოდა; რომ ეს უცხო ელემენტი შედგა ბურუუაზიულ ნიაღაგზე და დაუპირდაპირდა ქართველთა ინტერესებს საერთოდ, რომ ისინი უნდა გამოკვებულიყვნენ ქართველ ეროვნების სხეულზე და სამაგიროს კი ვერაფერს მისცემდნენ და სხ., ჩვენ შევვიაძლია ვსტევათ, რომ იმ თავიოვე სწორედ სომხის ერთ დაუპირდაპირდა ქართველ ერის.

გავიდა დრო და უამი და, თუ თავდაპირველად შემოსულმა სომხობამ ერთიანად ბურუუაზის, ანუ უკეთ რომა ვსტევათ, ვაჭრის როლი იყისრა, შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა ამ სომხობაშივე ლიფერენციალი, რაღაც აც თანდათან ემატებოდა სომხობას ახალი ელემენტები, და უკა-

ნასკნელ 40—50 წლის განმავლობაში თანდათან ძლიერდება სმალეთიდან გაძვალ-ტყავებულ სომხის გლეხობის ტალღა. რა ინტერესები ჰქონდა და აქვს ამ გლეხობას?

ს. დადიანი.

მიწის საკითხი *)

გვეტყვიან: ევროპაში, სადაც დიდი სამჩერებულო ცენტრებია, ჭირნახულის ფასი ძლიერ გაიზარდა, საქართველო ნაწარმოების ფასმა კი მოიკლო; მაშასაღამე, მეურნეობა უკეთეს პირობაშია, ვიდრე მრეწველობამ.

თუ ღრმად არ ჩაუკვირდი ამ მოვლენას, მართლაც ასე იფიქრებ, მაგრამ მცირეოდენი დაკვირვება კმარა, რომ გაფანტოს ეს მოჩვენება. საქართველო ნაწარმოები, მართალია შედარებით ძლიერ გაიუდა, მაგრამ სამაგიროდ საქართველო კაპიტალის შემოტრიალება უფრო ჩქარა ხდება, მაშასაღამე, მისგან თავნისა და სარგებლის ამოგება უფრო მოკლე ღროს განმავლობაშია შესაძლებელი, ვიდრე სამეურნეო თანხისაგან. მეურნეობა დამოკიდებულია ამინდზე. პურს, ღვინოსა და სხ., რაც უნდა ეცალო, განსაზღვრულ ღროზე აღრე ვერ მოიყვან. მაშასაღამე, აქ კაპიტალი მთელი წლის განმავლობაშია გაჩერებული, წლილი მარტო ერთხელ თუ შემოტრიალდება და ამიტომ სამეურნეო ნაწარმოები შედარებით ძვირად უნდა გაიყიდოს, რომ გაუთანასწორდეს წლიური მოგების მხრით საქართველო კაპიტალს.

ამგვარად, სამეურნეო ნაწარმოების გაძირება მხოლოდ იმას უნდა მივაწეროთ, რომ კაპიტალი დიდხანს არის აქ გაჩერებული უსარგებლოდ, საქართველო წარმოებაში კი კაპიტალის ერთი ნაწილი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემოტრიალდება.

მაშასაღამე, სამეურნეო ნაწარმოების სიძვირე და საქართველო ნაწარმოების სიიაუე — უბრალო ტენიკური განსხვავების შედეგია.

და აღარც ერთ მეურნეს აღარა აქეს ახლა იმედი და ღონე, რომ სამეურნეო კაპიტალისაგან იმაზე მეტი ამოგოს, რამდენის ამოგებაც შეუძლია კაპიტალისტ საქართველო კაპიტალისაგან.

დიალ! კაი ხანია, უპირატესობა რომ დაპკარგა

*) იხ. „კლდე“, № 6.

սամցուներ յաპօրալմա, և մոթի հեղմեր մոցցիս, հենքոս աղար ուղղեցա.

գամոնայլուս Մյաղցեներ մեռլու յալայիս մամուլցի, հոմելու և անշնուլցի սուլ և տա, զուլ և մեշուներօնա.

ցացոմեռորցի: տաճամցուրաց աղք-մուպման, մոմուլուս ցագուլցի, մուկո հենքո. և մամուլուս Կաբրոն արացուարու պարուարուսոնա արա էվս մյեյարենցի. პորոյու, մյեյարենուս մոցոմարեռի ծեց-րու մերու սպատուսու.

և, ու մեմամուլց հեղմերու ցաճասախալու և ցա- լցու, մանու եռմ մյեյարենուս մոցոմարեռի կուցու սպատուսու ոյնեցի և մեշուներ մոյրուցի մամուլն ու յապօրալուս հապրա. ամս կո մեշուներօնիս լաշուուցի մոչպացի Մյեցուցալ.

ամցարագ, սուրալ-դյուրաբուս մյենուրի պալո- չապու, հոմելու հեղմեր ցաճասախալու ալցիս մեմա- մուլցի, մուսչացիս մյեյարենուս համուրինաս և, մանոսախամյ, մելու սահոցագուցիս ոյան և տեցու, հագան սահոցագուցի կը ուլուցու ցաճումութի, ծոլուս և ծոլուս, սամշուներ պորնաշուլուս հառ- ջոնածու.

և սթորեց սայուրացու և ցանցեարա, հա- թու ոմերեց սուրալ-դյուրաբուս մյեյարենցի, հոմուրու ծյուշի ան ցերեցի, և հաթու անուշեցի մյեյարենցիս!?

Մյեումուլց ցուտերան կուցու: հագանաց յապօրա- լուսի կը ուղարկու սթորեց ցաճասախալու և ապացի Մյե- մուսաշուլուս կը ուղարկու ցաճասախալու ցաճանասթո- րեցի յապօրալուս և մյեյարենցան. մաշրամ արա! մյեմամուլց չը ուղարկու ցաճասախալու մուս թմոն և մոցու մյեյարենցի. մանոսախամյ, պարուարուսոնա ույց մյե- յարենցի յիշեցա.

ոցու Մյեցումուլուս ցտիւ մուս նապոնալո- չապուս Մյեսաեցի, հոմելուս ույց սուրալ-դյու- րաբուս յրու գուց չը ուղարկու լոյնոն. ցա- սեցացի մեռլու ու արուս, հու մյեմամուլց սաելու- մթուցու ուն ամուսուս ուղար (հենքո) և արա յրուաս, ան մյենուրի պալուրու. մաշրամ մանու եռմ ծույրուրաբու սուրալումու սահուրամու ցամցուցի և գիշ Մյեցուրուս կը ուղար ունուրաբուս, հոմելու Վյենուս հրոցիս.

այժման ու ասկան Մյեումուլց ցամոցուցանու, հու պարուարուսոնա ուն ապացու կը ուղար սայու- րեցի, հոմելու Վյենուրու պարուարուս եռուսուս և ունուրաբուս.

մաշրամ սայուտուրեցի արու և սայուտուրեցի. մյելու հոմայլու դյուրաբու օթիմունցի, հու մյեմիալուցինատ Մյուրու մյեմամուլցի, հոմելունց ուցուս ելու մյունամուլցի, և մյեմուլց օթիմունց օթիմունց մյեմամուլց արութեց. ցրայեթի արու և մատ միմ- ցուցարուս პոլուուրուս դյուր անրու յս ույց. մաշրամ մատմա ուն ույց հասարա և ծյունեցի ուցու սուրա- լուրու პորու սամշալու մյեմամուլց ցամցանու ցի օթիմունց օթիմունց.

ամ. մուլունա ելու Մյեցուց յրու մերու ունու- անունա, մյուրու մերու ունուն մյուլուցունամ.

ուրալուանու հու մյելու մյունամուլց նոնայրու ունու ույց. յ. օ. ուրալուցունու հու սուխանցունցի հոմայլունց տաճասթոր սուլուցի մուսաշուլցունց, յս հու օս- րուլու արուսուրաբուս մյետայրուս սուլուս սրու- լու ցամարչացի Յուրաց սայունցի յիշ. թ.) և ամ ցամարչացի Մյեմուլց ուրալուանու մունույց ուրալուանու մունույց օթիմունու ծյուր ույց մատմա ուն ույց հասարա և ծյունեցի, հո- մելու սուլուրու ցամնամաց ույց, ապարու և սուրու- տա մունցի սայարու ցապուցի.

ոցու սմիշելու մունցի հոմայլ դյուրաբու- ծիս. նոց սուզուլու օսաշցի, նոց ցանցեցի, մատու մունցի կո սայարու ցապուցի.

ամցարագ ցանց օթիմունու մամուլցի, լատուցու- ցունցի. և օմաց գրու ցամրացուն პորուցուանու.

ամու ցարձա, հոմայլու մունուանու արուսուրա- բունց և յապօրալուս յիշ, հոմելու մունցի ամու- թացեցունցի, մալու սրացեցունցի ելու մամուլս մյենունցի, մատ մունուս սուտանասթորուն ույց. օս- մատու ամու կուցու ու, հու սասուրաց սխունց մո- ցալուս, հոմելու լուրու զը ցաճասեցուն սկեսն. (ն. ամու Մյեսեցի մունցի սուրուանու).

մանոսախամյ, պորուցուանու հու մատմա օսա- մատմա ան մարտունումունու յունու ցամցուարյ- նուսացն, արամեց մալու մարտունուսացնա.

ֆոյուտեց յարլ մարյուս Յուրաց յումուս ծո- լու և արալունցունցի, հու օմցարմաց մունցի մունց ֆարմունց ունցուս ունցուս պորուցուանու.

և տցու յուրուանու, հու յուտա և սեցան პոր- ուցուանու ֆարմունցունց յուցու մտացարու մունցի ու ույց, հու ցլուցի ուութիմու սիմունու ցա- նատացուսուլուս.

մանոսախամյ, այս մալու մարտունու օսացու սայու- մունց ցլու ցամցուարյնուս.

մաշրամ ամաց գրու ցամրաց պարուարուանու

არ იქნებოდა, რომ სხვა ეკონომიურ მიზეზებსაც ხელი არ შეეწყოთ გლეხთა გაპროლეტარებისთვის. რომში მიტომ მოიყარა თავი პროლეტარიატიმა, რომ მშიერი ხალხი ლუქმა პურს შოულობდა ძველი ქვეყნის ამ უდიდეს ცენტრში. ინგლისში მიტომ აივთ ქალაქები პროლეტარიატით, რომ სამუშაო იშვია ქარხნებში. იგივე ითქმის სხვა ქვეყნებზედაც.

საქართველოში კი, რადგანაც ქარხანა ცოტაა, პროლეტარიატიც მცირეა.

მაგრამ პროლეტარიატი რომ გამრავლდა, ევროპაში ეს უბედულება კი არა, ბედნიერება იყო კსულინიობისათვის, რადგან ამ კლასმა ,ოლიტიკური ძალა შექმატა ქალაქებსა და ხელი შეუწყო დემოკრატიული წესწყობილების დამყარებას. პროლეტარიატი რომ არ ყოფილიყო, დღეს კაცობრიობა მოკლებული იქნებოდა სამოქალაქო თავისუფლებას და ისევ ფეოდალიზმი იქნებოდა გამეფებული. პროლეტარიატი, დიდ ცენტრში თავმოყრილი, დიდს სამხედროსა და პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. სოფლები კი ძლიერ დაქვეითებული და ჩამორჩენილი იყვნენ და ძნელი იყო მათი შეერთება ფეოდალთა წინააღმდევ. ამიტომ გლეხთა მოძრაობანი საშუალო საუკუნეთა მეორე ნახევარში ყველგან სასტიკად დამარტინდნენ. შეოლოდ შევიცარიაში გაიმარჯვეს გლეხებმა, მაგრამ იქაც არ იყო თანასწორობა ერთი ქვეყანა ბატონობდა მეორეს და ამ უთანასწორობამ თავისი მხრით ოლიგარქიის ბატონობა დაპარადა. შევიცარიის თანამედროვე დემოკრატიული წესწყობილება კი ახალი დროის ნაყოფია.

მაგრამ მონობა ომის შედეგია, და იქ, სადაც ხმალი ქარქაშში ჩაგებული აქვს ხალხს, დემოკრატია იმარჯვებს. ამ მხიოვე გლეხი იგივეა, რაც პროლეტარი.

და განა გარტო გლეხს ხვდა წილად მონობა? მეტიოდეტე საუკუნეში აბსოლიუტიზმა მდიდარი ბურჟუაზიაც კი დაიმორჩილა, გახადა მონაც. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ თვით მრეწველობის განვითარებამ და იარაღის გაუმჯობესობამ შექმნა დაქირავებული ჯარები, რომელთა საშუალებითაც ბიუროკრატიამ ბოლო მოულო ფეოდალიზმს.

კერძოდ გერმანიაში კიდევ უარესად იყო საქმე. ოცდაათი წლის სარწმუნოებრივმა ომმა, რომელიც დაბოლოვდა გერმანიის შერიგებით (1648 წ.), მთლიად განაცემურა სოფლებიც და ქალაქებიც. გერმანიაში სამჯერ ნაკლები იყო მცხოვრებთა რიცხვი 1648 წელს, ვიდრე 1618 წ. განზის

თავისუფალმა ქალაქებმა, აგრედვე საიმპერიო თავისუფალი ქალაქების მთელმა რიგმა—დაპერება თავისუფლება. სამოქალაქო თვითმართველობის ადგილი დაჭირია ბიუროკრატიის ბატონობამ, და იმავე დროს თავისუფალი გლეხებიც ყმებად შეიქმნენ. ერთი სიტყვით, ქალაქი და სოფელი, ბურეული და გლეხი, ყველა მონობაში ჩავარდა, და რამდენიმე ასი მთავარი, მათი ნათესავები, მხლებლები და აფიცრები გაბატონდნენ დაქირავებული ჯარების წყალობით.

დიალ! ისტორია ცხადად მოწმობს, რომ ომიანობა შეიქმნას მონობას. (იხ. ამის შესახებ „მსოფლიოს ისტორია“ „პფლუგ-გარტუნგისა“).

განვიმეორებ; გლეხი თუ ყმა იყო, გლეხისავე ბრალი კი არ არის, არამედ ეს სამხედრო მდგომარეობას, სხვა და სხვა ერთს დამოკიდებულებასა და საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, მიეწერება.

ამასვე ამტკიცებს მეორე დიდი ისტორიული ფაქტი. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები განთავისოფლდნენ ინგლისისაგან 1782 წ. 17 ენკენისთვეს. 1787 წ. კონფედერაცია დაადასტურა აწარსტული კონსტიტუცია ჩრდილო-ამერიკის ფედერატიული რესპუბლიკისა, და ის დემოკრატიული პრინციპი, რომელიც დაედო საფუძვლად ამ კონსტიტუციის, იყო მიზეზი რესპუბლიკის გაძლიერებისა და წარმატებისა.

როგორი იყო ეს პრინციპი? იგი შეიცავდა ორს კონსტიტუციურ პირობას: თვითმეული შტატის ავტონომიას, ე. ი. შინაური კანონმდებლობისა და აღმინისტრაციის დამოუკიდელობასა, და იმავე დროს კავშირს, შეერთებას საზოგადო, საერთო, ყველა შტატისათვის სავალდებულო კანონმდებლობისა და აღმინისტრაციული მართვა-გამგეობის საშუალებით.

16 მეათათვეს 1,88 წელს კონფედერაციამ გამოსცა შესანიშნავი კანონი, რომელსაც ეწოდება „ორდონანსი თხაიოს შესახებ“. ამ ორდონანსით, თვითმეული ახალშენი, რომელიც შესდეგბოდა 5,000 მცხოვრებისაგან, თითქმის ავტონომიური იყო და, როდესაც მცხოვრებთა რიცხვი 6,000-მდე აღიოდა, ახალშენს სრული ავტონომია ეძლეოდა და ნება ჰქონდა შეედგნა კონსტიტუცია და შესულიყო კავშირში, როგორც თანასწორი წევრი. კონსტიტუციით კი იუცილებლად აკრძალული უნდა ყოფილიყო მონობა და აღსარებული სარწმუნოების თავისუფლება.

ეს ორდონანსი სრულიად ეწინაღმდეგებოდა

მეთვრამეტე საუკუნის საახალშენო სისტემას, რომელსაც საფუძვლად ჰქონდა ცენტრის უპირატესობა და გიურიკრატიული მართვა-გამგეობა.

ამ კანონის წყალობით ჩრდილოეთის შტატებმა ძლიერ მიზიდეს მოახალშენენი (სამხრეთის შტატებში მონობა არ იყო აკრძალული, ამტკმ სამხრეთი ყოველი მხრით ჩამორჩი ჩრდილოეთს). მცხოვრებთა რიცხვი გასაოცარი სისწრაფით გაიზარდა და მიწის მუშაობა, ვაჭრობა და მრეწველობა ძლიერ განვითარდა.

ამ ოში, რომელიც მოხდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის მონათა განთავისუფლებისათვის (1851—1895), ჩრდილოეთს იქაური წვრილი მემამულების, ანუ მიწის მუშების, წყალობით დარჩათ გამარჯვება.

და ეს დიდი ფაქტი ცხადათ მოწმობს, რომ გლეხი ყოველთვის კონსერვატორი და რეაქციონერი არ არის, ყოველთვის უკან არ ატრიალებს ისტორიის ბორბალს, როგორც ფიქრობდნენ და ფიქრობენ დღემდის სოციალ-დემოკრატები.

და მონათა განთავისუფლების გარდა, კიდევ ბევრი სხვა დიდი ლვაწლიც მიუძღვით ამერიკის წვრილ მემამულე—მიწის მუშებს.

მაშასადამე, როდესაც პირობანი ხელს უწყობენ, გლეხები წინ მიდიან და არა უკან, და ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკა სავეცით დემოკრატიულია, თუმცა იქ 1900 წელს ქალაქებში მხოლოდ 31,1%-ი სცხოვრობდა, და მცხოვრებთა ორი წილი სოფლელი მიწის მუშებისაგან შესდგებოდა. ცხადია, მიწის მუშათა რიცხვი რომ ასე არ გამრავლებულიყო, არც ქალაქებში განვითარდებოდა და გაიზრდებოდა მრეწველობა გასაოცარი სისწრაფით, და უმთავრესად სწორედ მიწის მუშათა გამრავლება და კეთილდღეობა იყო მიზეზი, რომ 1900 წელს ამ რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 76 მილიონს, 1906 წელს კი 89 მილიონს. (იხ. „მსოფლიოს ისტორია“ პულუგ-გარტუნგისა, წერილი „დარჩეტეტერისა“).

ამგარად მიწის მუშათა გამრავლება დაედა საფუძვლად ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკის მრეწველობის ზრდასა, ტენიკისა და მეცნიერების განვითარებასა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას, რადგან სოფელმა მიაწოდა ქალაქს საჭირო დასამუშავებელი მასალა და აღმოჩნდა ბაზარი.

ინგლისში თუ წვრილი მიწის მუშების რიცხვის სიმცირემ ვერ შეაფერხა მრეწველობა, ეს

მხოლოდ იმას მიეწერება, რომ ამ კუნძულს სამას მილიონიანი ინდოეთი ასაზრდოებს. მაგრამ, რომ შინაური ბაზარი, მაშასადამე, დამოუკიდებელი მიწის მუშების გამრავლება, აუცილებელია ინგლისისთვისაც, ეს სჩანს სხვათაშორის იქიდან, რომ ახლანდელი ლიბერალური მთავრობა ცდილობს, შეისყიდოს მამულები ლორდებისაგან და შექმნას წვრილ მიწის მუშათა ახალშენები. ეს იგივე ეკონომიკური პოლიტიკაა, რომელსაც აწარმოგებდნენ ქმანი გრაკები შეორე საუკუნეში ქრ. შობის წინ. და, თუ სხენებული იგრატული რეფორმა არ განხორციელდა, ვინ იცის, შეიძლება, ბოლოს და ბოლოს ინგლისიც ისე დალუპონ „ლატიფუნდიებმა“, როგორც რომი.

ამბობენ, გლეხთა მოძრაობანი უმეტეს წილად რეაციონური იყვნენო. ის რას ამბობს ამის შესახებ, მაგალითად, „ბრიგერი“: „გლეხთა მოძრაობას (1525 წ.) უნდოდა გადაქარბებია რეფორმაციისთვის, მაგრამ ეს მოძრაობა არსებითად რეაქციონური იყო. ... ჰუსიტებს შემდეგ, რომელნიც ყველაფერს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ, არასოდეს არ ყოფილა ისეთი რადიკალური და ყველაფრის გადატრიალებელი რევოლუცია, როგორიც იყო სხენებული გლეხური რევოლუცია“.

„მიუნცერმა და მისმა მოსწავლეებმ ვერ შეითვისეს საესებით ლიუტერის მოძღვრება. მათ მოძღვრებიდან არ იყო ამოვარდნილი ძირიანად საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობა. მათ შორის ძლიერ იყო განვითარებული მისტიკური შეხედულება და ველური ფანატიზმი“.

მაგრამ შემდეგ თვით ბრიგერი მოგვითხრობს ისეთ ამბებს, რომელნიც ცხადად მოწმობენ, რომ მაშინ არც ერთი წილება არ იყო თავისუფალი საშუალო საუკუნისებური ცრუმორწმუნებისა და ფანატიზმისაგან.

ტყვია.

(შემდეგი იქნება).

ბ ლ ლ ე!

(გუგ-ღე-მოჟასანისა)

I

ცქრიადა მარებაზა ღე-რენნთდონ ტევიასაფით შეიქრა თთახში, შეაჭრა უხმოდ, უსიტევდდ და შორთო სიცილი. იცინთდა დაუსრულებდა, სწორედ ისე რო-

გთრტ აშ ერთი თვის წინად, როდესაც იგი უაშშობდა თავის მეგობარ ქალს, თუ როგორ შთატება მას თავისი ქმარი შერის საძიებლად,— რასაცირკელია შერის საძიებლად,— და მხოლოდ ერთხელ, ისიც იძიროშ როშ იძირი ქმარი მეტის-მეტად სულელი და ახირებული ჭკუისა.

კოზწია ბართესა დე-გრანულისამ მიატოვა წიგნის კითხვა და ცნობის მოქარეობით მიაჩერა ანეტი, და თითოეს სადაუბურად, აუტელა სიცილი. შემდეგ შეეკითხა ანეტის.

— კიდევ რა ჩაიძინე ქალი?

— თ-თ... ჩემთ კარგი... ჩემთ კარგი... არა! ეს ისე სასაცილოა, ისე სასაცილოა რომ... არა! შენ წარმოიდგინე შე განხოთავისუფლდი! განხოთავისუფლდი? გადაგრჩი! ძღიების...

— როგორ თუ გადარჩი?

— სწორედ, რომ გადავრჩი...

— შერე ვისგან, ან რისგან?

— ქმრისაგან, ჩემთ კარგო, ქმრისაგან... სამუდამდ გადაგრჩი... მე ესდა სრული თავისუფლადი გარ, გესმის, თავისუფლადი?

— როგორ თუ თავისუფლადი ხარ? რანაირად?

— როგორ თუ რანაირად? მე გეურები ჩემს ქმარს... ჟო... ჟნდა გაგეუარო... განგექორწინო...

— უკეთ გაიყარებით?

— ახ, არა!.. ჯერ არა დღიერთო ჩემთ, რა მიუსვედებული და სულელი ხარ, განა შესძლებელია სამი საათის გამსაგლობაში გაუქარო ქმარს? მაგრამ მე ეხდა ხელთა მაქეს საბუთი, რომ ის მე მდალატობის, უსინალისობდ მდალატობის. მე იმას მოვასწარ დანაშაულის საზღვარზე, გესმის, არა შენ წარმოიდგინე, ქალო... ეხდა ის მთლად ჩემს ხელშია.

— აა! აბა ერთი მიაბეკ. მაშასადამე ის შენ გდალატობდა?

— ჟო... ესე იგი... არა! თითქმის! მდალატობდა და არც მდალატობდა... მაგრამ საქმე ის არის მე საბუთი მიქირავს ხელში, რომ მე ის მდალატობს.

— შერე ეგ როგორ მთახერქე?

— როგორ მთახერქე? საქმეც მაგრძია და! თ-თ, მე ეს ისე თსტატურად მთვახერქე რომ... უკანასკნელ სამი თვის გრძმაგლობაში ჩემი ქმარი ისე გამოიცალა, რომ გელარ გცნობდა. იგი განდა უხეში, მაბეზარი, დესპოტი, ერთი სიტემით—საზიზდარი. მე გადაგუშვილე რომ ასეთ მდგრძნელებას ბოლო ჟნდა მთღებოდა. და როგორმე ჟნდა გაუქრთდი, მაგრამ როგორ? ეს ადაგილი საქმე კი არ არის! მე ისე გაქცევდი ჩემს ქმართან რომ შინდობდა გამოშეწივი საცემრად. ესე იგი შინ-

